ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 41

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2023 წლის "_ 04 _" მაისს ქ. თბილისში

- **შემსყიდველი: "საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობა"** ს/კ 202329211
- **ხელმძღვანელი:** ბრიგადის გენერალი **როლანდ ძნელაძე;**
- **მისამართი:** 0112, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №117ა, **ტელ.** 291 16 28

- **მიმწოდებელი: შპს "ტელკო სისტემს"** ს/კ 205203279;
- **ხელმძღვანელი: ირაკლი გულიაშვილი;**
- **მისამართი:** ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზ №29ა ტელ: 219 29 99; 219 29 98
- **საბანკო რეკვიზიტები:** სს თიბისი ბანკი, TBCBGE22, ანგარიში: GE75TB4021536020100006

ერთის მხრივ – **შემსყიდველი** და მეორეს მხრივ – **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულების დადების საფუძველი:

1.1 **მიმწოდებელი** იღებს ვალდებულებას მიაწოდოს **შემსყიდველს** ამ ხელშეკრულების N1 დანართში (ფასების ცხრილი) აღნიშნული **საქონელი** ხელშეკრულების პირობებისა და ფასების ცხრილში აღნიშნული ხარისხის, რაოდენობის და ფასის შესაბამისად.

CPV კოდი: 32421000 - ქსელის კაბელები

(საქონლის/მომსახურების მოკლე აღწერა)

1.2 ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნული დანართი N1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

1.4 ხელშეკრულების დადების საფუძველს წარმოადგენს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1]) ქვეპუნქტი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2022 წლის 29 დეკემბრის N1164 ბრძანება და თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობის G-4-ის სამსახურის 2023 წლის 12 აპრილის N417963 პატაკი.

2. ხელშეკრულების ფასი:

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის დასახელება, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მაჩვენებლები და საიდენტიფიკაციო მონაცემები, აგრეთვე რაოდენობა და ერთეულის ფასი მოყვანილია N1 დანართში (ფასების ცხრილი).

2.2 **ხელშეკრულების საერთო ღირებულება** შეადგენს:

699(ექვსასოთხმოცდაცხრამეტი) ლარი და 50 თეთრი

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

2.3 საქონლის ერთეულის ფასი და ხელშეკრულების ფასი შეიცავს **მიმწოდებლის** ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და **შემსყიდველის** საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს, სახდელს.

2.4 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. საქონლის მიწოდების წესი:

3.1 საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს **მიმწოდებელი** საკუთარი ხარჯებით ამ ხელშეკრულების N1 დანართში (ფასების ცხრილი) მითითებულ ვადებში და ადგილზე. ამასთან მიმწოდებლის ადგილსამყოფელიდან საქონლის ტრანსპორტირებას ახდენს შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით.

3.2 **მიმწოდებლის** მიერ მიწოდებული საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე, რომელიც ადასტურებს საქონლის გადაცემას მიმწოდებლისგან შემსყიდველზე.

3.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და ა.შ.).

3.4 **შემსყიდველი** უფლებამოსილია გადაცემის დროს ჩაატაროს საქონლის შემოწმება/კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელ და საქონელის მიღებაზე უფლებამოსილ პირს აღმოსავლეთის სარდლობის უზრუნველყოფის სერჟანტს, მასტერ სერჟანტს **გელა დათუკიშვილს (პ/ნ 45001005315).**

3.5 **შემსყიდველი** უფლებამოსილია განაცხადოს უარი საქონლის პარტიის მიღებაზე, თუ იგი უხარისხოა, ან არ იქნება თანმხლები დოკუმენტაცია სრული მოცულობით, ან დარღვეული იქნება მიწოდების ვადები ან სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3.6 ამ ხელშეკრულების 3.2 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე ეკისრება **მიმწოდებელს,** ხოლო ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის **შემსყიდველზე.**

3.7 **მიმწოდებელი** ვალდებულია გადასცეს უფლებრივად ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4. ანგარისწორების წესი:

4.1 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის გადაცემიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.

4.2 გადაცემის თარიღად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღი.

4.3 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

4.4 გადახდის ფორმა - უნაღდო.

5. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა:

5.1 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.2 **შემსყიდველი** უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს **მიმწოდებელს** პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

5.3 თუ **მიმწოდებელს** ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან **შემსყიდველის** მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი და ვადების გადაცილებისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 2%-ს, **შემსყიდველი** უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება

ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და **მიმწოდებელს** დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებულიდან დარჩენილი მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის მოცულობის ღირებულების 2%-ისოდენობით.

5.4 თუ **მიმწოდებელი** განაცხადებს არამოტივირებულ უარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებაზე, **შემსყიდველი** უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 2%.

6. საქონლის საგარანტიო პირობები და ვადები

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ხარისხიანი, სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს და შეესაბამება საქონლის ტექნიკურ პირობებს (დანართი №1).

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

7. სხვა პირობები:

7.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და **მოქმედებს 2023 წლის 15 ივნისამდე.**

7.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკებების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

7.3 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.4 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

7.5 ამ ხელშეკრულების პირობებს და საერთო პირობებს შორის ურთიერთშეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამის მუხლებს.

7.6 მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

7.7 ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირები ვადასტურებთ ,რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ "საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის (ე) ქვეპუნქტის და ამავე მე-4 პუნქტის შესაბამისად მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

EASTERN COMMAND OF DEFENCE FORCES OF MINISTRY OF DEFENCE

Digitally signed by EASTERN COMMAND OF DEFENCE FORCES OF MINISTRY OF DEFENCE
Date: 2023.05.05 10:50:15 +04'00'

Telco Systems LLC

Digitally signed by Telco Systems LLC
Date: 2023.05.05 11:12:57 +04'00'

დანართი №1

2023 წლის "_ 04_" მაისის N41 ხელშეკრულებასთან
ფასების ცხრილი

N	CPV კოდი	საქონლის დასახელება	ზ/ე	რ-ბა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
1	**32421000**	SL200 Pro F/U24 Category 5e F/UTP 4x2x24AWG Data (კაბელი)	ცალი	2	349.75	699.50	ქ. თბილისი, კედიას ქ. N15	2023 წლის 15 მაისის ჩათვლით
სულ:						**699.50**		

Telco Systems LLC

Digitally signed by Telco Systems LLC
Date: 2023.05.05 11:13:11 +04'00'